სააპელაციო საბჭო

17/11/2025

MES 6 25 0001634514

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანა თლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლ ო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის №795973
გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ

შპს საქართველოს უნივერსიტეტის 2025 წლის 01 აგვისტოს №3482 სააპელაციო საჩივრის (ცენტრში რეგისტრაციის - №941524, 01/08/2025), სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 30 ივნისის სხდომის №786710 ოქმის და 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილების, სააპელაციო საბჭოს 2025 წლის 10 ნოემბრის №1574211, 17 ნოემბრის №1619792 სხდომის ოქმის, სააპელაციო საბჭოს სხდომებზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^5 მუხლის პირველი პუნქტისა და 28^7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1 შპს საქართველოს უნივერსიტეტის საპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. გაზიარებულ იქნეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილება "შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ".
3. სააპელაციო საბჭოს 2025 წლის 17 ნოემბრის №1619792 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

5. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს მდივანი
გილაშვილი ქეთევან

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

ელექტრონული
ზზ ამ ვ ღ ს ს მ ე ღ ი ს
ელექტრონული